გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

გიორგი ხუროშვილი
Giorgi Khuroshvili

იერუსალიმი და ათენი, როგორც ინტერკულტურული ფილოსოფიის პარადიგმა

Jerusalem and Athens as a Paradigm of Intercultural Philosophy

სპეციალობა: ფილოსოფია
Specialty: Philosophy

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining the Dr. of Philosophy Degree

რეზიუმე
Resume

თბილისი
Tbilisi
2017

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ხუროშვილი

იერუსალიმი და ათენი, როგორც ინტერკულტურული ფილოსოფიის პარადიგმა

სპეციალობა: ფილოსოფია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2017

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **თენგიზ ირემაძე**
ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი
ჰელმუტ შნაიდერი
ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი

ოფიციალური შემფასებლები (ოპონენტები):

1. **ლალი ზაქარაძე,** ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2. **გიორგი ბარამიძე,** ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, იოანე პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების თავმჯდომარე.

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 25 იანვარს, 17:00 საათზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (აღმაშენებლის ხეივანი, მე-13-ე კმ.)

სარჩევი

შესავალი 5
საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა 5
კვლევის მიზანი 6
კვლევის ამოცანები 6
ჰიპოთეზა 7
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის
თეორიული კონტექსტი 8
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა 11
მეთოდოლოგია 11
კვლევის აღწერა 14
ნაშრომის მეცნიერული სიახლე 16
დასკვნა 17

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა ნაშრომი განიხილავს ცოდნისა და რწმენის, გონებისა და გამოცხადების, ეკლესიისა და აკადემიის, იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის საკითხებს. ქალაქი ათენი ანტიკური ფილოსოფიის და, ზოგადად, ფილოსოფიის აღმნიშვნელია, ქალაქი იერუსალიმი კი, იუდეო-ქრისტიანულ რელიგიას აღნიშნავს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უკანასაკნელი ორი ათასი წლის მანძილზე, დასავლური ცივილიზაციის განვითარების გეზს სწორედ ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთობა განსაზღვრავდა.

ნაშრომში გააანალიზებულია იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის ფილოსოფიური, თეოლოგიური, ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. განხილულია ამ ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ეტაპები და მოვლენები, იმ დიდ მოაზროვნეთა ნაშრომები, რომლებმაც იერუსალიმისა და ათენის მიმართების საკითხები ორიგინალურად გაიაზრეს და ამ მიმართებას ახალი განზომილებები შესძინეს.

XX საუკუნის დასაწყისიდან, დასავლურ სამყაროში, ფეხი მოიკიდა იმ ღირებულებათა გადახედვის ტენდენციამ, რომლებსაც დასავლური კულტურა ტრადიციულად ეფუძნებოდა. გასული საუკუნის, ისევე, როგორც ჩვენი დროის მრავალი თვალსაჩინო მოაზროვნე, მიიჩნევს, რომ სწორედ ეს ტენდენცია არის დასავლური კულტურის „კრიზისის“ მიზეზი. XX საუკუნის ლიბერალური და სეკულარული მოძრაობები დასავლური კულტურის ორ უმთავრეს საყრდენს ანტიკურ აზროვნებასა და ბიბლიურ რელიგიას დაუპირისპირდა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, დასავლური კულტურის ეს ორი წყარო მისი განვითარების გეზს და სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს. ამდენად, მათი რეაქტუალიზება და რეინტერპრეტირება, კარგი

საშუალებაა ზემოთქმული „კრიზისის“ თავისებურებებში გასარკვევად.

კვლევის მიზანი იერუსალიმის და ათენის კვლევას, როგორც წესი, საკუთრივ ამ ორი ქალაქის ტრადიციაზე დაყრდნობით ახორციელებდნენ. იერუსალიმს, როგორც რწმენისა და რელიგიის, ხოლო, ათენს, როგორც ცოდნისა და ფილოსოფიის უძველეს ცენტრებს, მათივე კულტურის ჭრილში განიხილავდნენ. ხშირ შემთხვევაში, ამგვარმა კვლევებმა, დანარჩენი სამყაროსათვის, აზროვნების ამ ორი ხაზის სათანადოდ წარმოჩენა ვერ შესძლო. ამდენად, უპრიანია, რომ იერუსალიმი და ათენი, უწინარეს ყოვლისა, ინტერკულტურულ ჭრილში იყოს განხილული და გააზრებული. ამ ორი უძველესი პარადიგმის კვლევა, ერთი მხრივ, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური ხაზის კვალდაკვალ უნდა წარიმართოს, მეორე მხრივ კი, ებრაელ მოაზროვნეებთან მისი რეცეფციის მიმოხილვაც უნდა მოხდეს. ამავდროულად, საჭიროა, რომ სათანადო ყურადღება დაეთმოს ისეთ ტრადიციებსა და გამოცდილებებსაც, რომლებიც დღემდე ნაკლებად არის გამოკვლეული, კერძოდ კი, შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებას; იმჟამინდელი ქართველი ინტელექტუალების ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო ნაშრომებში, იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის თვისობრივად ორიგინალურ გააზრებას შევხვდებით.

კვლევის ამოცანები დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების განხორციელება: იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის შესახებ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მიმოხილვა, იმ დიდ მოაზროვნეთა ნაშრომების დამუშავება, რომლებმაც ცოდნისა და რწმენის მიმართების ახალი განზომილებები აღმოაჩინეს, მათი თანაარსებობის ორიგინალური მოდელები შეიმუშავეს ანდა მათ შორის არსებული განსხვავებები კიდევ უფრო გააღრმავეს. ამდენად, საჭიროა იერუსალიმისა და ათენის მიმართების პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და თეოლოგიური ასპექტების დამუშავება, ბიბლიის კვლევის

ცალკეული შედეგების ანალიზი, დასავლური ფილოსოფიისა და პოლიტიკის ისტორიაში იერუსალიმისა და ათენის მნიშვნელობისა და როლის განსაზღვრა. ანტიკური ფილოსოფიისა და ბიბლიური მოძღვრების რე-ინტერპრეტირებისა და რე-აქტუალიზების პერსპექტივების შეფასება.

ჰიპოთეზა ცოდნისა და რწმენის ურთიერთობის ისტორია მრავალი კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიას მოიცავს. იერუსალიმისა და ათენის კულტურებმა, ისტორიის მსვლელობისას, მრავალ სხვა კულტურაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს, მეტიც, ამ ორი ქალაქის კულტურამ სხვა კულტურებზე დომინანტობა მოიპოვა, რის გამოც იერუსალიმი და ათენი კულტურათა ჯგუფების აღმნიშვნელ სახელებად იქცა, რომლებიც, თავის მხრივ, სულ მცირე, ბოლო ორი ათასი წლის მანძილზე, მეტ-ნაკლები წარმატებით, ერთმანეთთან დაჯგუფებასაც ცდილობდნენ.

იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის ისტორია, ამავდროულად, კულტურათა დაახლოების, ცვლილების, კვდომისა და დაბადების ისტორიაც არის. შესაბამისად, ზემოთქმული ზეგავლენა ყოველთვის ცალმხრივი არ ყოფილა. დროთა განმავლობაში, სხვადასხვა კულტურებმა, იერუსალიმისა და ათენის პირვანდელ პრაქტიკებში ცალკეული შესწორებები და დამატებები შეიტანეს, მეტიც, ყოველ კულტურაში შესვლისას ამ პრაქტიკებს ადაპტაციის ინდივიდუალური რეჟიმის გავლა უწევდათ. ეს საკამოდ რთული პროცესი იყო, რომელიც მათგან მოითხოვდა, ერთი მხრივ, კონკრეტულ, ადგილობრივ კულტურასთან შეთავსებას, ხოლო, მეორე მხრივ, განვითარების პირვანდელი გეზის შენარჩუნებას. შედეგად, დაიწყო იერუსალიმისა და ათენის ტრადიციების კულტურათა მიჯნაზე მყოფ ტრადიციებად ჩამოყალიბების პროცესი, რამაც, საბოლოო ჯამში, მათი ინტერკულტურული ხასიათი განაპირობა.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

„რა საერთო აქვს იერუსალიმს ათენთან, ეკლესიას აკადემიასთან, ქრისტიანს მწვალებელთან?!“ ამ ცნობილ შეკითხვას ტერტულიანე (160-225 წწ.) ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ეპოქაში სვამდა, როდესაც ქრისტიანობა პირველ კავშირებს ამყარებდა ბერძნულ აზროვნებასთან. თავის მხრივ, ეს კითხვა წმინდა პავლეს სიტყვებს ემყარებოდა: „ფრთხილად არავინ გაცდუნოთ სიბრძნის მოყვარულობით და ფუჭი საცდურით“. ტერტულიანესაგან განსხვავებით, სხვა ადრექრისტიანი მოაზროვნეები - ორიგენე (184/185-253/254 წწ.), ავგუსტინე (254-330 წწ.), და სხვ. - ფიქრობდნენ, რომ გონებას (ათენს) და გამოცხადებას (იერუსალიმს) ჰარმონიული თანარსებობა შეეძლოთ. სხვანი კი, თვით წმინდა პავლე და მაგალითად, ბასილი კესარიელი (329/330-379 წწ.), ტერტულიანეს მსგავსად, მათ თანაარსებობას შეუძლებლად თვლიდნენ.

ტერტულიანეს კითხვას ყველაზე უკეთ წმ. კლიმენტ ალექსანდრიელმა (150-215 წწ.) უპასუხა; იგი ფილოსოფიას გონიერი ქმნილებების ყოფის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ მას ვერც ქრისტიანები აარიდებდნენ თავს. საუკუნეთა მანძილზე ანტიკურ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა და უმაღლეს მწვერვალს შუა საუკუნეების აზროვნებაში მიაღწია. ამ პროცესს დასავლეთში პირველი უნივერსიტეტების დაარსებამ და მათმა შემდგომმა განვითარებამაც შეუწყო ხელი.

შუა საუკუნეებში მოღვაწე ქრისტიანი მოაზროვნეები ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109 წწ.), პიერ აბელარი (1079-1142 წწ.) და თომა აქვინელი (1225-1274 წწ.) გონებისა და ქრისტიანული რწმენის სინთეზს და გონების მეშვეობით ღმერთის შემეცნებას ცდილობდნენ, რათა მისდამი რწმენა და სიყვარული გაეძლიერებინათ. უკვე, შუა საუკუნეებში ფართოდ იყო

გავრცელებული მოსაზრება, რომ ქრისტიანულ რწმენასა და ძველ ბერძნულ კოსმოლოგიას ჰარმონიული თანაარსებობა შეეძლოთ. მსგავსი შეხედულებები შუა საუკუნეების საქართველოშიც გვხვდება. იმ დროის ქართველი მოაზროვნეები - ეფრემ მცირე (XI ს.), იოანე პეტრიწი (XI-XII ს.), არსენ იყალთოელი (XI-XII ს.) - მჭიდრო კავშირში იყვნენ ბიზანტიაში არსებულ ინტელექტუალურ მოძრაობებთან; მათ მძლავრ ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო ტრადიციებს ჩაუყარეს საფუძველი. მეტიც, იოანე პეტრიწის თაოსნობით გელათის აკადემიაში ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასთან ერთად წარმართ ფილოსოფოსთა თხზულებებს ასწავლიდნენ.

საქართველოსაგან განსხვავებით, ებრაულ და ბერძნულ სააზროვნო სივრცეში, იერუსალიმსა და ათენს შორის დაუსრულებელი დავა ძირითადად ძველ აღთქმასთან ქრისტიანობის მიმართებას შეეხებოდა, უფრო ზოგადად კი, ამ უკანასკნელის იუდაიზმთან მიმართებას. აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც შუა საუკუნეების სწავლულები იერუსალიმისა და ათენის, ე.ი. ქრისტიანობისა და ანტიკური ფილოსოფიის შერიგების შესაძლებლობას ხედავდნენ, პროტესტანტული მსოფლმხედველობა მათ განშორებას უფრო ესწრაფვოდა, იმ მიზეზით, რომ ჭეშმარიტ და უტყუარ საწყისებს დაბრუნებოდნენ. ამგვარ საწყისებად კი მათ სახარებებში განცხადებული ღმერთის სიტყვა მიაჩნდათ.

ჩვენს დროში ნაკლები ყურადღება ექცევა იმასაც, თუ რა ფილოსოფიურ და თეოლოგიურ კონტექსტებს ატარებდა იერუსალიმსა და ათენს შორის არსებული დავა შუა საუკუნეების ებრაელ მოზროვნეებში. ამ მხრივ, ნიშანდობლივია იეჰუდა ჰალევის (1075-1141 წწ.) მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ აბრაამის ღმერთსა და ფილოსოფოსთა ღმერთს საერთო არაფერი ჰქონდათ, მაშინ, როდესაც მის საპირისპიროდ მოსე მაიმონიდი (1135-1204 წწ.) ბერძნული ფილოსოფიისა და ბიბლიის შესატყვისობის ჩვენებას ცდილობდა. ქრისტიანული, ისევე, როგორც ებრაული

ტრადიციისათვის უმთავრეს საკითხად კი ღმერთის ეპისტემოლოგიური სტატუსი რჩებოდა.

ტერტულიანეს კითხვას აქტუალობა მოგვიანებითაც არ დაუკარგავს. მან ახლებური შეფერილობა უილიამ ოკამის (1287-1347 წწ.) ნომინალიზმის სახით მიიღო, რომელიც ადამიანის გონების ძალებთან მიმართებით სქოლასტიკურ ხედვას არ იზიარებდა; იგი სრულად უარყოფდა მოსაზრებას გონების მეშვეობით ღმერთის შემეცნების შესახებ და ამ მხრივ უპირატესობას რწმენას ანიჭებდა.

ახალი დროის დადგომის კვალდაკვალ ასპარეზზე იმგვარი სახის მეცნიერებები გამოჩნდნენ, რომლებიც ძველ მოაზროვნეთა ნაშრომებს კრიტიკულად განიხილავდნენ, ხოლო, საკუთარ მიგნებათა ჭეშმარიტებას ემპირიული კვლევებითა და ექსპერიმენტების მეშვეობით ამყარებდნენ. მიუხედავად ამისა, საეკლესიო მოღვაწეთა უმრავლესობა ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა, ისევე, როგორც კოსმოლოგიური ცოდნის წვდომას კვლავაც ბიბლიურ ტექსტებზე უაპელაციო დაყრდნობის გზით ცდილობდა; ეს მცდელობები სრულიად წარუმატებელი გამოდგა, რამდენადაც „ახალმა მეცნიერებებმა“ ისინი კრიტიკის მწვავე ქარცეცხლში გაატარა და მათი სერიოზულობა საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დააყენა. სეკულარულ ადამიანს უკვე აღარ შეეძლო, რომ სამყაროს მეცნიერული განმარტებები მის ღვთაებრივ წარმოშობასთან დაეკავშირებინა. იმ მორწმუნე მეცნიერთათვისაც კი, რომლებიც თავიანთ რელიგიურ მრწამს და მეცნიერულ ცოდნას ერთნაირად აფასებდნენ, ამ ორი რამის ერთმანეთთან შეთავსება შეუძლებელი აღმოჩნდა. დაბნეულობამ ხანგრძლივი დროით დაისადგურა. იერუსალიმსა და ათენს შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ებრაული წარმოშობის გერმანელმა მოაზროვნემ, ჰერმან კოჰენმა (1842-1918 წწ.), კიდევ ერთხელ სცადა იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის რეაქტუალიზება; ეს უკანასკნელი მან სრულიად განსხვავებულ

შუქზე განიხილა. კოჰენი მიიჩნევდა, რომ დასავლური კულტურა ორი უმნიშვნელოვანესი წყაროდან იღებს სათავეს: პირველი - პლატონი და მისი ფილოსოფიაა, ხოლო მეორე - წინასწარმეტყველები და ბიბლია. ამასთან, მისი აზრით, იერუსალიმისა და ათენის თაობაზე ჭეშმარიტების დადგენა მხოლოდ დაწვრილებითი მეცნიერული ანალიზის გზით არის შესაძლებელი, ყოველგვარი ემოციური მიკერძოების გარეშე. იგი თვლიდა, რომ პლატონმა ეთიკაში პირველმა შეიტანა სამეცნიერო-რაციონალური სტანდარტები. თუმცა, იმავდროულად, კოჰენი პლატონის ფილოსოფიის ნაკლოვანებად ადამიანთა თანასწორობის მიმართ მის დამოკიდებულებას მიიჩნევდა, ხოლო წინასწარმეტყველთა ღირსებად ის მიაჩნდა, რომ ისინი ადამიანებს თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განიხილავდნენ.

ამ საკითხთან მიმართებით კოჰენის იდეებმა, მოგვიანებით, ასახვა პოვა ებრაული წარმოშობის ამერიკელი მოაზროვნის, ლეო შტრაუსის (1899-1973 წწ.), მსოფლხედვაზე. თავის ნაშრომში „იერუსალიმი და ათენი: შესავალი განაზრებანი“ შტრაუსი მიიჩნევს, რომ იერუსალიმსა და ათენს შორის „ფუნდამენტური დაპირისპირება“ და „რადიკალური უთანხმოება“ არსებობს. ეს დაპირისპირება ადამიანს იმთავითვე აიძულებს მათ შორის არჩევანი გააკეთოს. შტრაუსი იერსალიმის და ათენის „შერიგების“ ან ჰარმონიზების აუცილებლობას ვერ ხედავს და თვლის, რომ მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არსებობა დასავლურ კულტურას მეტ სარგებელს მოუტანს.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

მეთოდოლოგია იერუსალიმისა და ათენის ტრადიციების კვლევის საუკეთესო გზა ინტერკულტურულ ფილოსოფიაზე გადის. ამ უკანასკნელის ამოცანაა ერთგვარი შუამავლის როლი შეასრულოს სხვადასხვა კულტურების ფილოსოფიებსა და უნივერსალურ ფილოსოფიას შორის, რომელიც კულტურულად

მიკერძოებული არ არის. ინტერკულტურული ფილოსოფიის გლობალური ამოცანაა ხიდის როლი შეასრულოს დასავლურ და აღმოსავლურ ფილოსოფიას შორის და ეს ორი ფილოსოფიური ტრადიცია უნივერსალური ფილოსოფიის კონტექსტში წარმოაჩინოს, ხოლო, მისი ერთ-ერთი ლოკალური ამოცანა, რომელიც ამ ნაშრომის კვლევის ობიექტიც არის, გულისხმობს დასავლური ფილოსოფიების შესწავლას ფილოსოფიის ერთიანი ათენური გეზის კონტექსტში. ამგვარად, ინტერკულტურული ფილოსოფიის მეთოდური საფუძველია კომპარატივისტიკა, რაც, ამ კონკრეტულ შემთხვევებში, კულტურების და მათი ფილოსოფიური ტრადიციების შედარებაში აისახება.

უნივერსალური ფილოსოფია, რომელიც ყოველი ცალკეული კულტურის ფილოსოფიისაგან გამიჯნული იქნებოდა არ არსებობს, არამედ, ის სხვადასხვა ფილოსოფიებისაგან შედეგება და მათ შეჯერების ერთგვარი შედეგია, იგივე ვითარებაა ცალკეული კულტურულად მიკერძოებული ფილოსოფიების შემთხვევაშიც, სადაც, ჟამთასვლის კვალდაკვალ, სხვადასხვა ფილოსოფიური ტრადიციები ერთმანეთს ანაცვლებდნენ ან სულაც ერთ დროსა და სივრცეში თანაარსებობდნენ. ამდენად, ინტერკულტურული ფილოსოფია სწავლობს ფილოსოფიური ტრადიციების ურთიერთობას, როგორც ერთი კონკრეტული კულტურის შიგნით, ასევე, სხვადასხვა კულტურებს შორის და ცდილობს მათ კონტექსტუალიზებას.

კომპარატივისტულ მეთოდზე დაფუძნებული ინტერკულტურული კვლევა ამ ნაშრომის მხოლოდ ერთ კომპონენტს - ათენის ტრადიციას - მოიცავს. მართალია, ნაშრომის ცალკეულ ნაწილებში, კომპარატივისტიკა ათენისა და იერუსალიმის მიმართებების გამოსაკვეთადაც არის გამოყენებული, მაგრამ საკუთრივ იერუსალიმის ტრადიციის კვლევა განხორციელებულია ისტორიულ-კრიტიკული მეთოდოლოგიის გამოყენებით. თავის მხრივ, ეს მეთოდოლოგია მრვალ სხვა მეთოდთან ერთად კომპარატივიზმსა და ინტერკულტურულ მოდგომასაც მოიცავს

და, საერთო ჯამში, მას, იერუსალიმის ტრადიციის კვლევისას, ნაყოფიერი შედეგები მოაქვს, რამდენადაც ამ ტრადიციის მთავარი საფუძვლის - ბიბლიის - კვლევის ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. ამგვარად, ნაშრომის მთელ რიგ ნაწილებში მოცემულია ბიბლიის ისტორიულ-კრიტიკული განხილვა, რაც იერუსალიმის ტრადიციის წარმოშობის, განვითარების და სახეცვლილების ხანგრძლივი პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს ნათელყოფს.

ბიბლიის ისტორიულ-კრიტიკული კვლევა ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება, კერძოდ, ესენია: შინაგანი და გარეგანი კვლევა. პირველი გულისხმობს ბიბლიური ტექსტების კრიტიკულ განხილვასა და ანალიზს; ეს, ამ ნაშრომში, უხვად არის წარმოდგენილი და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიზნად ისახავს ბიბლიური მოძღვრების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას, მისი განვითარების პროცესსა და შედეგებზე დაკვირვებას, რაც, ზოგადად, იერუსალიმის ხაზის თავისებურებებს უფრო ნათლად წარმოაჩენს. მეორე კი, გულისხმობს ბიბლიური მონათხრობების ანალიზს ისტორიოგრაფიის, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შუქზე. ეს მეტ-ნაკლებად საიმედო გზაა ბიბლიის მთელი რიგი მონათხრობების მითოსური ხასიათის დასადგენად და ბიბლიაში მითოსისა და ლოგოსის გასამიჯნად. მეტ-ნაკლებად იმიტომ, რომ, ხშირ შემთხვევაში, ისტორიოგრაფიაში ბიბლიურ მონათხრობთა პარალელური ვერსიები არ მოიპოვება, რაც, ცხადია, იმთავითვე არ მიუთითებს ამ მონათხრობთა არაისტორიულობაზე, მაგრამ მათი ნამდვილობის შესახებ დამატებით ეჭვებს აჩენს.

ამავდროულად, ისტორიულ-კრიტიკული მიდგომა მოიცავს სხვა ინსტრუმენტებსაც, რომელთა ნაწილი ამ კვლევაშიც არის გამოყენებული. ამათაგან ერთ-ერთი არის წყაროების კრიტიკა. ის შესაძლებელს ხდის იმ ცალკეულ ბიბლიურ მონათხრობთა სავარაუდო წყაროების დადგენას, რომელთაც ისტორიოგრაფიული გადამოწმებაც ვერ ხერხდება. ამ

თვალსაზრისით, შედეგიანი არის სხვა ძველი კულტურების მითოლოგიის კვლევა, რასაც, ზოგჯერ, ბიბლიურ მონათხრობებსა და ამ კულტურთა მითოლოგიურ გადმოცემებს შორის არსებული მსგავსებების აღმოჩენამდე მივყავართ.

კვლევისას გამოყენებული მეორე ინსტრუმენტი არის რედაქციის კრიტიკა, რომლის მიზანიც არის იმის გამორკვევა, თუ როგორ იცვლებოდა არსებული ბიბლიური ტექსტები ან როგორ იწერებოდა ახალი ტექსტები, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებში, კონკრეტული თეოლოგიური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ამგვარი კვლევისას, ხშირად თავს იჩენს, სხვადასხვა დროში დაწერილ, განსხვავებულ ტექსტებს შორის ხელოვნური კავშირის დამყარების ნიმუშები, როგორიცაა ერთი, უფრო ადრინდელი ტექსტის ლაიტმოტივის, ფაბულის ან ცალკეული ციტატის არაკონტექსტუალური გამეორება მეორე, უფრო გვიანდელ ტექსტში. გარდა ამისა, ამ მიდგომის ფარგლებში, კვლევა მოიცავს ზოგიერთი ბიბლიური ტექსტის, განსაკუთრებით კი, ახალი აღთქმის სახარებების პირველ წყაროების შესახებ მსჯელობას და მათი განვითარების ისტორიის კრიტიკულ ანალიზს.

კვლევის აღწერა ნაშრომი სისტემურად იკვლევს იერუსალმისა და ათენის ურთიერთობის ხასიათს მის მნიშვნელოვან ასპექტებს და თავისებურებებს. კვლევის ერთ-ერთი მიზანი არის, იერუსალიმის ხაზის საფუძვლების დადგენა, მისი განვითარების გეზისა და ეტაპების გამოკვეთა. რაც, მისი რაციონალიზების მეტ შესაძლებლობას იძლევა და მასა და ათენის ხაზს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს უკეთ წარმოაჩენს. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს ხდის, მეტ-ნაკლები სიზუსტით დადგინდეს, იერუსალიმის ხაზზე, ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ზეგავლენის ხარისხი და განისაზღვროს ის საეტაპო მომენტები, რომელთაც, ისტორიის მსვლელობისას, ამ ტრადიციის სხვადასხვა მიმართულებების წარმოშობა განაპირობეს.

რამდენადაც იერუსალმისა და ათენის ურთიერთობის საკითხი მრავალ ისეთ ასპექტსაც მოიცავს, რომელიც პირწმინდად ფილოსოფიური და თეოლოგიური კონტექსტების მიღმა არის, ამ კვლევაში, ასევე, გამოყენებულია ინტერდისციპლინური მიდგომა. კერძოდ, კვლევის სხვადასხვა ნაწილებში, ისტორიოგრაფიის, პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის თეორიის ჭრილში გაანალიზებულია რწმენისა და ცოდნის ურთიერთობის განვითარების პროცესები და შედეგები.

ეს სამი დისციპლინა საგანგებოდ იქნა შერჩეული იმის საჩვენებლად, თუ რა გავლენა მოახდინეს იერუსალმისა და ათენის ტრადიციებმა დასავლური სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაზე და როგორია მათი ამჟამინდელი მდგომარეობა თანამედროვე სამართლებრივი სისტემისა და ლიბერალური დემოკრატიის პირობებში. ამავდროულად, ინტერდისციპლინური მიდგომა, ამ საკითხების გარშემო, სინთეზური მსჯელობის წარმართვას უწყობს ხელს და დასავლური სამყაროს ისტორიასა და აწმყოში, იერუსალიმისა და ათენის როლის უფრო ფართო პერსპექტივიდან დანახვის და გააზრების შესაძლებლობას აჩენს.

ქრისტიანული დასავლეთის ისტორიაში, ალბათ, იშვიათად ყოფილა ისეთი მოაზროვნე, რომელიც ცოდნისა და რწმენის, იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობას გარკვეული დოზით მაინც არ შეხებია. მართალია, ეს ნაშრომი ამ ორი ტრადიციის წარმოშობის, განვითარებისა და მათი თანამედროვე მდგომარეობის კვლევას ისახვს მიზნად და ამ თვალსაზრისით მათი ურთიერთობის მთელ ისტორიასაც მოიცავს, მაგრამ, ცხადია, რომ ის არათუ ყველა ამ მოაზროვნის, არამედ ყველა მნიშვნელოვანი მოაზროვნის რეცეფციასაც კი ვერ დაიტევდა. ამგვარად, ნაშრომში განხილული ისტორიული ეპოქები შემდეგი კრიტერიუმით შეირჩა: ისტორიული ეპოქები, რომლებიც ამ ორი ტრადიციის ინდივიდუალური განვითარების, ისევე, როგორც მათი ურთიერთობისათვის საეტაპო მნიშვნელობის იყო. ხოლო განხილული მოაზროვნეები, შემდეგი კრიტერიუმით შეირჩა: მოაზროვნეები

სხვადასხვა კულტურული სივრციდან, რომელთაც იერუსალიმისა და ათენის მიმართების საკითხი ორიგინალურად გაიაზრეს და მათ ურთიერთობას ახალი განზომილებები შესძინეს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომი არის ისტორიულ-სისტემური ხასიათის. ის, ქართულ ფილოსოფიაში პირველი მცდელობაა, რომ იერუსალიმისა და ათენის მიმართება გამოკვლეული იყოს ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში.

ინტერდისციპლინური მიდგომის ფარგლებში, ნაშრომში, გამოყენებულია ჰუმანიტარული მეცნიერების, ბიბლიის კვლევის, და პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგიური აპარატი, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის არსი, განვითარების ტენდენციები და განისაზღვროს მათი ზეგავლენის ხარისხი დასავლეთის პოლიტიკურ ისტორიასა და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაზე.

ნაშრომში სისტემურად არის დამუშავებული სხვადასხვა კულტურის ინტელექტუალური გამოცდილება. რის შედეგადაც, წარმოდგენილია იერუსალმისა და ათენის ტრადიციების მდიდარი ინტერკულტურული ხასიათი.

იერუსალმისა და ათენის ურთიერთობის კონტექსტში ორიგინალურად არის დაჯგუფებული ფილოსოფიის ისტორიის ცალკეული პარადიგმები და ეტაპები, რაც შესაძლებლობას აჩენს ცოდნისა და რწმენის ურთიერთობა ახალი პერსპექტივებიდან იყოს დანახული.

შესწავლილი და დამუშავებულია საეტაპო მნიშვნელობის იმ მოაზროვნეთა თხზულებები, რომლებსაც ქართულ

ფილოსოფიურ კვლევებში, დღემდე, ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

შეფასებული და წარმოჩენილია იერუსალიმისა და ათენის მიმართების მნიშვნელობა დასავლეთის პოლიტიკური ისტორიის გარდამტეხი მოვლენების განვითარების პროცესში.

იერუსალიმისა და ათენის ურთიერთობის კონტექსტში გაანალიზებულია ქართული ფილოსოფიის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები და მოაზროვნეები.

დასკვნა

ნაშრომში, ინტერკულტურალობის შუქზე, შესწავლილი და გააანალიზებულია სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებსა და კულტურებში იერუსალიმისა და ათენის, ცოდნისა და რწმენის, ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთობა. განხილულია ამ ორი ტრადიციის ქომაგი დიდი მოაზროვნეების საეტაპო ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია ამ ურთიერთობის მრავალშრიანი და სიღრმისეული ანალიზი. ასევე, განხილულია ათენის ბერძნულ-რომაული და იერუსალიმის იუდეო-ქრისტიანული მიმართულებები. აქვე, წარმოდგენილია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა ეს ურთიერთობა შუა საუკუნეებში, ახალ დროსა და XIX-XX საუკუნეებში. ნაშრომი მოიცავს იერუსალიმისა და ათენის მიმართების ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ განზომილებებს; განიხილავს, მათ ცალკეულ ასპეტებსა და თავისებურებებს. ამგვარად, ინტერკულტურული მიდგომის გამოყენებით, იერუსალიმისა და ათენის მიმართების კვლევის შედეგად შეიძლება შემდეგი შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა:

1) იერუსალიმისა და ათენის „საწყისისეულ“ კულტურებს მრავალი საერთო აქვთ. თუმცა, ქრისტიანობის გამოჩენამდე, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ფართო ასპარეზზე გამოვიდა,

რწმენისა და ცოდნის მიმართება, მისთვის, ცენტრალურ საკითხად იქცა. ადრექრისტიანულ ეპოქაში, როდესაც, ერთი მხრივ, ფილოსოფიის გაქრისტიანების პროცესი დაიწყო, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველმდებარე დოქტრინები დამუშავდა, ბიბლიური რწმენისა და ანტიკური ფილოსოფიის დაახლოების პირველი ტენდენციებიც გაჩნდა. ცხადია, რომ ამ პროცესმა რწმენასა და ცოდნას, რელიგიასა და ფილოსოფიას, იერუსალიმსა და ათენს შორის არსებული ღრმა ნაპრალები სრულად ვერ ამოავსო, მაგრამ ქრისტიანული მოძღვრებისა და ფილოსოფიის განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

2) იერუსალმის ხაზის და, ამდენად, იუდეო-ქრისტიანული მოძღვრების ისტორიული განვითარების შესწავლისა და გააზრების თვალსაზრისით, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების და ადრექრისტიანი მოაზროვნების შემოქმედება, ისევე, როგორც პატრისტიკა და სქოლასტიკა, საიმედო გზამკვლევებია. მაგრამ, ჩვენს დროში, იერუსალიმის ხაზის აქტუალიზებისათვის, ისინი გადამწყვეტ როლს ვეღარ შეასრულებენ, რამდენადაც თანამედროვე სამყარო სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით, ისტორიული ეპოქების ანალოგიური მოდელებისაგან მკვეთრად სხვაობს.

3) ბიბლიის ისტორიულ-კრიტიკული შესწავლა გვაჩვენებს, რომ არათუ ძველი და ახალი აღთქმის გადმოცემების, არამედ თავად ისტორიული იესო ნაზარეველის შესახებ, ახალი აღთქმის მიღმა, წყაროები ერთობ მწირია. არსებული წყაროები კი, რომლებიც ამ ნაშრომში არის განხილული, იმდენად ლაკონური და მშრალია, რომ მათი მეშვეობით მხოლოდ ისტორიული იესო ნაზარეველის არსებობა დასტურდება, მის შესახებ სახარებისეული გადმოცემების (რომელთა სრული ხელნაწერებიც, IV საუკუნეს განეკუთვნება) გადამოწმება კი, ამ ცნობების მეშვეობით, შეუძლებელია. XIX საუკუნეში სწორედ ეს გარემოება გახდა სახარებათა გადმოცემების ნამდვილობაში დაეჭვების ერთ-ერთი საფუძველი. ცხადია, რომ ბიბლიის იმჟამინდელ კრიტიკოსთა მსჯელობა სრულყოფილებისაგან

შორსაა, თუმცა, აღნიშნული პერიოდის კვლევებმა, ქრისტიანული ეკლესია, იმგვარი სირთულეების წინაშე დააყენა, რომლებიც მას ჯერაც ვერ გადაულახავს, მეტიც, რაც უფრო დრო გადის, ეკლესიის ეს რთული მდგომარეობა კიდევ უფრო ღრმავდება, რამდენადაც უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე აღმოჩენილი, მანამდე უცნობი, გნოსტიკური სახარებები, რომელთაგანაც ზოგიერთის ხელნაწერი, ტრადიციულ კანონიკურ სახარებათა ხელნაწერებზე უფრო ძველია, იესო ნაზარეველის ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ მკვეთრად განსხვავებულ გადმოცემებს შეიცავენ.

4) თუკი XIX საუკუნემდე, ორგანიზებული რელიგია და იმჟამინდელი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება ფილოსოფიური აზრის და, ზოგადად, თავისუფალი ცოდნის შევიწროვებისა და დევნის საქმეში მოკავშირეები იყვნენ, უკვე XIX-XX საუკუნეებში, მასშტაბური პოლიტიკური ტრანსფორმაციის კვალდაკვალ, ვითარება შეიცვალა, ორგანიზებული რელიგიის მიმართ იმედგაცრუება გაჩნდა და, ზოგ შემთხვევებში, მაგ., საბჭოთა კავშირში, რელიგიის დევნაც კი გაჩაღდა. თუმცა, XX საუკუნის ადამიანებში რელიგიის მიმართ ტრადიციული დამოკიდებულების შეცვლის მიზეზი მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური რეჟიმების ანტი-რელიგიური პროპაგანდა არ ყოფილა. ბიბლიური მოძღვრების მიმართ უნდობლობის მზარდი ტენდენცია თითქმის ყველა ტრადიციულ რელიგიურ საზოგადოებაში გაჩნდა. ამ პროცესს კი, მნიშვნელოვანწილად, შეუწყო ხელი მეცნიერების, ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის მასშტაბურმა მცდელობებმა. ამგვარად, XX საუკუნე, თავისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და მეცნიერული მოვლენებით ერთგვარ საზღვრად იქცა უფრო შორეული წარსულისა და მომავლის სამყაროებს შორის.

5) იერუსალიმი და ათენი თავის აქტუალობას კვლავაც ინარჩუნებს პოლიტიკურ კონტექსტში. ამ მხრივ, მათი რეაქტუალიზების მცდელობები მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდა პოლიტიკური ფილოსოფიის წიაღში.

ნებისმიერი პოლიტიკური სივრცის სიცოცხლისუნარიანობისა და წარმატებისათვის საჭიროა, რომ მასში გაერთიანებული ადამიანები გარკვეული საფუძველმდებარე ღირებულებებით საზრდოობდნენ. რამდენადაც, თავის დროზე, დასავლური კულტურა იერუსალიმისა და ათენის კულტურებზე დაყრდნობით წარმოიქმნა, მიიჩნევა, რომ ის სწორედ ამ ორი კულტურის ღირებულებებით უნდა საზრდოობდეს. XX საუკუნე, დიდი სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ღირებულების კრიზისის ეპოქა იყო. ამ კრიზისის გადალახვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი დასავლეთელი ადამიანი კლასიკური აზროვნების იდეების აქტუალიზებას განახორციელებს. ამისათვის საჭირო მასალა კი ბიბლიურ ტექსტებსა და ანტიკურ ფილოსოფოსთა ნააზრევშია მოცემული.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Giorgi Khuroshvili

Jerusalem and Athens
as a Paradigm of Intercultural Philosophy

Specialty: Philosophy

Thesis is presented for obtaining the Dr. of Philosophy
Degree

Resume

Tbilisi
2017

Grigol Robakidze University

Scientific supervisors: **Tengiz Iremadze**
Doctor of Philosophy, professor.
Helmut Schneider
Doctor of Philosophy, professor.

Official evaluators (Opponents): **Lali Zakaradze**
Doctor of Philosophy, professor at Batumi Shota Rustaveli State University, Head of the Department of Philosophy

Giorgi Baramidze
Doctor of Philosophy, professor.
Chairman of Ioane Petritsi Philosophical Society

The defense of the dissertation will take place on 25th January, 2017, at 17:00 pm at Grigol Robakidze University at a session of the Certifying Committee of Experts of the School of Humanities and Social Sciences.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University (13th km., Agmashenebeli Alley, Tbilisi).

Contents

Introduction 24
The reaserch subject and actuality 24
The aim of the research 24
Research objectives 25
The hypothesis of the work 25
Review of scientific literature and
theoretical context of study 26
Methodology and Research Description 28
Methodology 28
Research Description 29
Scientific novelty of the work 30
Conclusion 30

Introduction

The reaserch subject and actuality. The doctoral thesis discusses the issues of relationship between knowledge and faith, reason and revelation, church and academy, Jerusalem and Athens. The city of Athens marks ancient philosophy and philosophy in general, while the city of Jerusalem marks Judeo-Christian religion. It is widely recognized that for last two thousand years the development of Western civilization was determined by the relationship of philosophy and religion. The work analyzes philosophical, theological, historical, political and legal aspects of the relationship of Jerusalem and Athens. Here are reviewed certain particular stages and events of this relationship. The thesis also discusses those works of outstanding thinkers who in different epochs have originally understood the peculiarities of the relationship of Jerusalem and Athens and developed new dimensions in this regard.

Since the beginning of XX century, in the Western world, a tendency of reviewing traditional values was dominant; many thinkers of the past century as well as our contemporaries described this process as the crisis of values. The secular and liberal movements of XX century opposed two major bases of Western culture antique philosophy and Biblical religion. Since the ancient ages these two sources of Western culture have been determining its development and liability, therefore, their re-actualization and re-interpretation is the best way of understanding the peculiarities of the mentioned crisis.

The aim of the research. The study of Jerusalem and Athens, commonly, was done based on traditions of these two cities. Jerusalem as the center of Faith and religion and Athens as the center of knowledge and philosophy were discussed in the frames of their individual culture, such studies didn`t properly demonstrated the importance of Jerusalem and Athens for the rest of the world. Thus, it is important that Jerusalem and Athens is discussed and understood in the intercultural light. The study of these ancient paradigms should be done in the direction of Greek-Roman-Byzantine though,

and on the other hand, their reception among Jewish thinkers has to be taken into the consideration. At the same time, it is necessary to pay attention to those traditions and experiences which are not properly studied yet. In this regard medieval Georgian thought should be mentioned. In the philosophical and theological works of that time Georgian intellectuals an original reception of Jerusalem and Athens can be found.

Research objectives. In order to achieve above-mentioned aim following objectives must be accomplished: broad spectrum of the scientific studies on the relationship of Jerusalem and Athens should be reviewed. The works of those great thinkers should be examined who opened new dimensions for the relation of faith and knowledge and created the original models for their co-existence or vice versa who deepened the differences between them. Therefore, it is necessary to study the philosophical, theological, political, legal and social aspects of this relationship. At the same time the result of Biblical studies should be analyzed and the role Jerusalem and Athens should be determined in Western political history. Also, the perspectives of the re-interpretation and re-actualization of the Biblical doctrines should be evaluated.

The hypothesis of the work. The history of the relationship of knowledge and faith includes the history of many civilizations and cultures, the cultures of Jerusalem and Athens have influenced many other cultures, moreover, these two cities dominated on other cultures and therefore name of Jerusalem and name of Athens mark different cultural groups, which, in its turn, for last two thousand years, were trying to group with each other as well. The history of Jerusalem and Athens, at the same time, is the history of transformation, birth and death of cultures. Therefore, above-mentioned influence has not always been unilateral. As the time passed, different cultures introduced number of corrections and amendments in the initial practices of Jerusalem and Athens. Moreover, while entering in every new culture these practices were able to go through individual regime of adaptation. It was a

complicated process which required adjustment to the concrete local culture on the one hand and maintenance of the initial direction of development on the other. As a result of this process the traditions of Jerusalem and Athens were formed as the traditions on the crossroad of cultures which finally has determined their intercultural character.

Review of scientific literature and theoretical context of study

"What indeed has Athens to do with Jerusalem? What concord is there between the Academy and the Church? What between heretics and Christians?" Tertullian (160-225) asked this famous question in early Christian period when Christianity was making first contacts with Greek thought. His question was based on the word of St. Paul: "Make sure that no one captivates you with the empty lure of a 'philosophy' of the kind that human beings hand on, based on the principles of this world and not on Christ" (Col. 2: 8-9). However, other early Christian thinkers such as Origen (184/185-253/254), St. Augustine (254-330) and etc. thought that reason (Athens) and revelation (Jerusalem) could co-exist. It is considered that the best answer to Tertullian's question was provided by St. Clement of Alexandria (150-215). He considered philosophy to be undivided part of reasonable creatures and thought that neither Christians would avoid it. As the centuries passed, relationship between Athens and Jerusalem has developed and reached its peak in medieval thought. Medieval Christian thinkers such as Anselm (1033-1109), Abelard (1079-1142), and Thomas Aquinas (1225-1274) strived for the synthesis of reason and Christian faith and reasonable understanding of god. In Middle Ages the idea that Christian faith and ancient Greek cosmology could co-exist was widely accepted. Similar ideas can be found in medieval Georgia. That time Georgian thinkers such as: Ephraim the Small (XI c.) Arsen of Ikalto (XI-XII cc.), and Ioane Petritsi (XI-XII cc.) had a close relationship with the Byzantine intellectuals; they founded strong theological and philosophical schools, moreover, Ioane Petritsi lead Gelati Academy, where along with Christian texts, the works of pagan authors were taught.

Meantime, in Greek and Jewish thought continuing argument between Jerusalem and Athens concerned to the relationship of Christianity and Old Testament and more generally to the relationship of Christianity and Judaism. It should be noted that while medieval scholars were striving to reconcile Christianity and antique philosophy protestant worldview aimed to separates them in order to return to true origins, and such origins were considered to be the word of god preached in the gospels. Today less attention is paid to those philosophical and theological contexts in which the relation of Jerusalem and Athens was discussed among medieval Jewish thinkers, in this regard should be mentioned Jehuda Halevi (1075-1141) who thought that the god of Abraham and god of philosophers had nothing in common, while in contradiction to him Moses Maimonides (1135-1204) thought that Greek philosophy and Bible could be reconciled. However, the most important issue for the Christian as well as for Jewish tradition was the epistemological status of god.

Tertullian's question remained urgent in later times as well. It took new interpretation in William of Ockham's (1287-1347) nominalism, which neglected scholastic views on the capabilities of human reason, he rejected opinion that men were able to understand god by reasoning and gave advantage to faith in this regard. In early modern period "new sciences" have merged which critically revised the works of the thinkers of past epochs, while proving the truth of their own discoveries with strong empirical evidences. Despite that vast majority of church intellectuals still strived to understand divine truth and cosmological knowledge according to Bible.

In XX century German philosophers Hermann Cohen (1842-1918) and Leo Strauss (1899-1973) re-actualized the relationship of Jerusalem and Athens and discussed it in a different light. Cohen considered that quarrel between Jerusalem and Athens can be solved through thorough scientific examination. He thought that Plato`s philosophy lacked the principles of equality while Biblical prophets

lacked the rationality. However, he thought that synthesis of reason and revelation was possible in the social context. Apart from Cohen Leo Strauss thought that there is fundamental conflict and radical contradiction between Jerusalem and Athens and their synthesis is pointless, that by the independent existence of these two traditions contemporary world will get more benefit.

Methodology and Research Description

Methodology. The traditions of Jerusalem and Athens are of the intercultural character. Therefore, intercultural philosophy is the best way of studying them. The major task of the later is to act as a mediator between the philosophies of different cultures and universal philosophy, which is not culturally bounded. The global task of the intercultural philosophy is to be a bridge between Eastern and Western philosophies and to present these philosophical traditions in the context of universal philosophy, while one of the local tasks of intercultural philosophy, which at the same time is the object of this research, is to study Western philosophies in the united context of Athenian tradition. Thus, the methodological base of intercultural philosophy is comparativism, which in these cases, is reflected in the comparison of cultures and their philosophical traditions. There is no universal philosophy which would be separated from the philosophies of different cultures; it consists of different philosophies and is a result of their synthesis. Situation is same in regard of other culturally bounded philosophies, where, as time passed, different philosophical traditions were replacing each other or co-existed in time and space. Therefore, intercultural philosophy studies the relation if philosophical traditions within one concrete culture as well as between different cultures and strives to discuss them in unified context.

Intercultural study based on comparativist method includes only one component of this work – the tradition of Athens. This method is also used to outline the relationship of Jerusalem and Athens, but the

study of the traditions of Jerusalem is done by using historical-critical methodology. This methodology along with other methods includes comparativism and intercultural approach as well and brings fruitful outcomes while studying the tradition of Jerusalem as far as it is the most effective instrument of the study of Bible which is the base of this tradition. Thus, in several parts of the work is given a historical-critical discussion of the bible which clarifies the origins, development and transformation of the tradition of Jerusalem.

Research Description. This study uses above-mentioned methods and instruments in order to outline the bases of the tradition of Jerusalem as well as the major stages and direction of its development. It draws a rational picture of Jerusalem and provides an opportunity to compare Jerusalem with Athens. At the same time it makes possible to investigate the influence of historical socio-political events on the paradigm of Jerusalem. In addition, as far as the relationship of Jerusalem and Athens occupies those aspects which is beyond philosophical and theological contexts the interdisciplinary approach is also used in this study. In particular, different parts of the study refer to historiographical, political, and legal aspects of the relationship of faith and knowledge. These three disciplines were selected in order to understand the influence of Jerusalem and Athens on Western socio-political history and to analyze their current role in contemporary liberal democracies.

Most of the thinkers of Western Christian world, in their works, to some extent have referred to the relationship of Jerusalem and Athens. This work occupies the history of this relationship in general, but it is obvious that in cannot include all those thinkers who wrote on this matter. Therefore, authors citied in this work have been selected according to their importance, influence and contribution to the subject.

Scientific novelty of the work

The work is of the historical-systematic character, it analyzes the relationship of Jerusalem and Athens in intercultural and interdisciplinary context.

Within the interdisciplinary approach the work uses methodological instruments of philosophy, Biblical studies and political science. It systematically discusses the intellectual traditions and experiences of different cultures.

It discusses and represents those paradigms, stages and thinkers of history of philosophy which weren`t properly studied in Georgian philosophy.

The work also evaluates and clarifies the importance of Jerusalem and Athens in the decisive events of Western political history. In the context of the relationship of Jerusalem and Athens it analyzes the development of Georgian philosophy.

Conclusion

The work includes philosophical, theological, socio-political and legal dimensions of the relationship of Jerusalem and Athens. It discuses their particular aspects and peculiarities; thus by using intercultural and interdisciplinary approach, as a result of the study of relation of Jerusalem and Athens, following closing conclusions can be drawn:

1) The initial cultures of Jerusalem and Athens have a lot in common. However, before the appearance of Christianity they maintained independence from each other. Since Christianity has emerged the relation of faith and knowledge became its central issue. In early Christian epoch, when on the one had the process of Christianizing of the philosophy has started and on the other hand when fundamental doctrines of Christian faith were introduced first

tendencies of relationship between Athens and Jerusalem have appeared. It is obvious that this process was not enough for overcoming the differences between these two paradigms, however it played major role in development of philosophy and Christian doctrines.

2) In order to study and understand the tradition of Jerusalem and therefore Judeo-Christian teachings the works of biblical prophets and early Christian thinkers as well as Patristics and Scholasticism are trustful guides. However, in our times they do not play decisive role in this regard, as far as contemporary world in social, political or cultural perspective is very different from the analogical models of middle ages.

3) Historical critical study of Bible shows that historical sources about descriptions of Old and New Testament as well as of Jesus are very few. But even the existing source which are discussed in this work are so poor that they only prove the existence of historical Jesus while aren`t saying anything essential about major Biblical stories. In the XIX century this circumstance was the reason of Biblical criticism. It goes without saying that XIX century Biblical criticism is far from perfection, but it is also evident that it had put church in rather complicated situation and which hasn`t been overcome yet.

4) Before XIX century organized religion and that time socio-political order where collaborators in persecution of philosophy and free opinion in general, however in XIX-XX century as a result of tremendous political changes many were disappointed in organized religion. In some political spaces e.g., Soviet Union religion was even persecuted. However, skepticism towards religion was not only the result of anti-religious propaganda, but this result was also caused by the fast technological and scientific development which has changed a traditional opinion about human capabilities, and thus fostered those global changes as a result of which traditional position of organized religion declined.

5) Jerusalem and Athens still remain urgent in political context. In this regard their re-actualization was successfully done by political philosophy. For the liability of any political space it is necessary that people integrated there have some fundamental values in common, as far as in the beginning Western culture was originated based on the cultures of Jerusalem and Athens, it is considered that it should be supported by the values of these two cultures. XX century was an epoch of the crisis of values; this crisis can be overcome only if Western man re-actualizes the ideas of classical thought, the necessary material of which is given in antique philosophy and Biblical texts.